პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 100 (6165)

1978 წ. 24 მაისი, ოთხშაბათი, ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

**22 მაისს** მოსკოვში ადგილობრივი „ლოკომოტივისა" და ლენინგრადის „ზენიტის" მატჩი დამთავრდა — 0:0. ეს „ლოკომოტივის" მეხუთე ფრეა.

• • •

**გუშინ** ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე თბილისის „დინამომ" ფრედ — 1:1 დაამთავრა მატჩი დონეცკის „შახტიორთან". გოლები გაიტანეს ყიფიანმა (პენალტიდან) და ლატიშმა.

# სახე სპორტსმენისა

**ორიოდე** დღის წინათ ქართველმა ტელემაყურებლებმა სპორტული გადაცემის დროს ერთი მეტად კურიოზული შემთხვევა იხილეს: ევროპის პირველობის ფინალურ შეხვედრაში ხუთგზის მსოფლიოსა და ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ლევან თედიაშვილს გამარჯვებამდე აღარაფერი აკლდა, რომ სასოწარკვეთილი მეტოქე კბილებით ჩააფრინდა მაჯაში...

ამ არასპორტული საქციელისთვის თურქი მოჭიდავე გიუჩლი, რა თქმა უნდა, მკაცრად დაისაჯა — შეჯიბრებიდან მოიხსნა. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერს თვითონ ლევანმა გაუკეთა კომენტარი და დასკვნა — ჩემს მეტოქეს ქართული ჭიდაობა რომ სცოდნოდა, ამას არამც და არამც არ მოიმოქმედებდაო.

მართლაც, არ არსებობს სპორტის სახეობა, ჩვენი ეროვნული საუნჯის, ქართული ჭიდაობის მსგავსად რომ აშკარავებდეს სპორტსმენის კეთილშობილებას, ჰუმანურობასა და რაინდობას.

ლევან თედიაშვილს შემთხვევით როდი წამოსცდენია ეს სიტყვები — იგი ხომ სწორედ ქართული ჭიდაობის ტრადიციებზე აღზრდილი ფალავანია და შესანიშნავად აქვს შესისხლხორცებული სპორტის ამ ეროვნული სახეობის კეთილშობილური ბუნება. არც ქართული ჭიდაობის ეს თვისებაა შემთხვევითი, რადგან იგი ქართველი კაცის სულიერ სახესთან ერთად ჩამოყალიბდა და დაიხვეწა საუკუნეების მანძილზე.

ალბათ სწორედ აქ უდევს სათავე ჩვენი სპორტსმენების შინაგან კულტურას, მათ მორალურ სახეს. მრავალი შემთხვევის გახსენება შეიძლება, როცა ქართველ სპორტსმენებს არა მარტო ფენომენალური მიღწევებით გაუოცებიათ გულშემატკივრები, არამედ თავიანთი შინაგანი ბუნებითა და მორალური სიმტკიცითაც მოუხიბლავთ ისინი.

ვის არ სმენია ქართველ მთამსვლელთა გმირობაზე, მათ თავგანწირვაზე ტიან-შანის მიუვალ მთებში. სწორედ იქ, ამხანაგის გადასარჩენად საკუთარი სიცოცხლე არ დაიშურა ჯუმბერ მეძმარიაშვილმა, ხოლო ლეგენდარულმა მიხეილ ხერგიანმა სიკვდილის პირზე მისული მეგობარი ზურგით გამოიყვანა საშიშროებიდან.

გავიხსენოთ ქართველ სპორტსმენთა გმირობა იაპონიაში, როცა ისინი დაუფიქრებლად შევარდნენ ცეცხლში ადამიანთა გადასარჩენად.

კიდევ ბევრის გახსენება შეიძლებოდა.

ყოველი ადამიანი, რომელიც ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მოხვდება, გამუდმებით უნდა ფიქრობდეს თავისი ქვეყნის, თავისი ერის პრესტიჟზე. ჩვენს სპორტსმენებს, ბუნებრივია, ხშირად უხდებათ მოძმე რესპუბლიკებსა თუ უცხო ქვეყნებში ყოფნა და მათ განსაკუთრებით უნდა ახსოვდეთ ეს ამბავი.

ამას წინათ „ლელოს" რედაქციაში ერთი შვედური გაზეთი მოიტანეს, რომელშიც საკმაოდ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი მასალას ჩვენი რესპუბლიკის შესახებ. გაზეთი თავის მკითხველებს ფართო ინფორმაციას აწვდიდა საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, ჩვენს კულტურაზე... და აქვე დაბეჭდილი იყო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტის მაია ჩიბურდანიძის პორტრეტი, სწორედ მაიას ბრწყინვალე გამარჯვება ბადკისინგენში გამხდარა შვედური გაზეთის ჩვენი რესპუბლიკით დაინტერესების მიზეზი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სპორტსმენებს ოქროს მედლების, ტიტულებისა და ქულების მოპოვების გარდა ერთი მეტად კეთილშობილური მისიაც აკისრიათ — ისინი პირველყოვლისა თავიანთი სამშობლოს სრულუფლებიანი ელჩები არიან და სხვა ხალხებთან მეგობრობის დამყარება ევალებათ.

სპორტსმენის მორალური სახის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოს, სადაც იგი ბავშვობიდან იზრდება. ოჯახსა და სკოლასთან ერთად ამ საქმეში უდიდეს როლს თამაშობს მწვრთნელიც.

სამწუხაროდ, არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა სპორტსმენები შეუფერებლად იქცევიან და ამით საზოგადოების, გულშემატკივრების სამართლიან გულისწყრომას იწვევენ.

სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოს სპორტკომიტეტმა საგანგებოდ იმსჯელა მოჭიდავეთა ერთი ჯგუფის მიერ ბაკურიანში ატეხილი ღრეობის თაობაზე და დამნაშავეებს სათანადო სასჯელიც დაადო.

ამას წინათ „ლელოში" გამოქვეყნებულ წერილში „ერთი შეჯიბრების შუქჩრდილები", მოთხრობილი იყო თბილისელი მოფარიკავეების, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრობის კანდიდატის რ. გიორგაძისა და მ. გუგუშვილის ულირს საქციელზე, რომელიც მათ ქუთაისში გამართულ საქართველოს პირად-გუნდურ პირველობაზე ჩაიდინეს. მსაჯის გადაწყვეტილებით განაწყენებულმა გუგუშვილმა უხეშად დაარღვია შეჯიბრების წესები, მას არც გიორგაძე ჩამორჩა და სარბიელზე გვარიანი ცემატყეპა გაიმართა. მსაჯთა კოლეგიამ ორივე „სპორტსმენი" დაუყოვნებლივ მოხსნა შეჯიბრებიდან.

სულ ახლახანს კი ასტრახანში ყოფნისას ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრებმა ვ. ამოსოვმა, ა. თათევოსიანმა, ნ. ფრიდმანმა, ს. მანჟუკოვმა და ვ. ჩუკანოვმა სპორტსმენებისთვის შეუფერებელი დანაშაული ჩაიდინეს — ჯერ დათვრნენ და შემდეგ კი ადგილობრივ რესტორანში ერთმანეთს მუშტიკრივით გაუმასპინძლდნენ...

თბილისის სპორტკომიტეტმა იმსჯელა ამ სამარცხვინო ფაქტის შესახებ და სპორტის ოსტატობის კანდიდატს ვ. ამოსოვს ლოთობისა და ხულიგნობისთვის დისკვალიფიკაცია მისცა, გარიცხა ნაკრები გუნდიდან და ჩამოართვა სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება. ა. თათევოსიანი სპორტული რეჟიმის დარღვევისა და ლოთობისთვის დისკვალიფიცირებულია წლის ბოლომდე, ხოლო ვ. ჩუკანოვს, ნ. ფრიდმანსა და ს. მანჟუკოვს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური და ერთი წლით პირობითი დისკვალიფიკაცია.

ჩვენი მძლეოსნების ასეთმა ულირსმა საქციელმა გაცილებით მეტი ზიანი მიაყენა რესპუბლიკის სახელს, ვიდრე ამ ქალაქში გამართულ „იზვესტიის" პრიზზე მათ მიერ დაკავებულმა სავალალო მეშვიდე ადგილმა, თუმცა ამ სპორტსმენებს ოქროს მედლებიც რომ მოეპოვებინათ, მაინც ვერ შეცვლიდნენ უცხო ქალაქში მათ მორალურ სახეზე შექმნილ მართებულ აზრს.

ადამიანის შინაგანი სახე და კულტურა ჩვეულებრივ მის ქცევაში ვლინდება ხოლმე. ამ მხრივ სპორტსმენს განსაკუთრებული თავდაჭერილობა მართებს. იგი ხომ საყოველთაო ყურადღების ცენტრშია, მის ყოველ მოქმედებას, ჟესტსა და თვით მიმიკასაც კი ათასობით მაყურებელი ადევნებს თვალს. მაყურებელი კი ხშირად ოსტატობაზე უფრო სპორტსმენის კეთილშობილებას, რაინდობასა და თავმდაბლობას აფასებს.

**წ. შატაიძე.**

# ხუთეულში!

**როგორც** ვიუწყებოდით, ოდესის სპორტის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის 30-ე ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. **გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მეხუთე ადგილზე გავიდა** — 253,15 ქულა. საინტერესოა, რომ წინა ჩემპიონატებში (ისინი ორ წელიწადში ერთხელ იმართება) ჩვენი გუნდი შესაბამისად მე-14 (1974 წ.) და მე-6 (1976 წ.) ადგილებზე იმყოფებოდა.

პირად ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მარინე ხალილოვამ და ირინე გაბაშვილმა, შესაბამისად მეექვსე (გურზებით ვარჯიში) და მეშვიდე (ვარჯიში ზონრით) შედეგები აჩვენეს. ამასთან, საკავშირო ნაკრების წევრი ი. გაბაშვილი მრავალჭიდში მეათე ადგილზე გავიდა.

# მალხაზ თათარაძის წარმატება

**17-21** მაისს სოფიაში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში.

დიდ წარმატებას მიაღწია ჩვენმა თანამემამულემ, სპორტის ოსტატმა მალხაზ თათარაძემ (საბჭოთა არმია), რომელმაც მრავალჭიდში მეორე ადგილი მოიპოვა, რითაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

# მესამე ეტაპი — იალღუჯის ფერდობებზე

**რაც უფრო** ახლოვდება სპორტის ტექნიკურ სახეობებში საკავშირო სპარტაკიადა, მით უფრო იზრდება რესპუბლიკური შეჯიბრებებისადმი ინტერესი.

მოტოკროსში საქართველოს წლევანდელი პირველობა სამ ეტაპად გაიმართა. გასულ შაბათსა და კვირას მესამე ეტაპის ასპარეზობას თბილისის ლენინის რაიონის საქალაქო კომიტეტის პრიზზე რუსთავის მიდამოებში იალღუჯის მთის ფერდობები მასპინძლობდა. სტარტზე ქალაქებისა და რაიონების 13 გუნდი გამოვიდა. შეჯიბრებაში ქალები, მოზარდები და მოზრდილებიც ცდიდნენ ძალებს.

ქალთა შორის 175-ანებით რბოლა მოიგო თბილისის სპორტტექნიკური კლუბ „ელვას" წარმომადგენელმა ს. ველიკანოვამ, მომდევნო ადგილები ერგოთ ო. გრიგორიანსა (ბათუმის ავტოსკოლა) და ე. ასლანიანს (ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტტექნიკური სკოლა).

იუნიორთა შორის ჩემპიონი გახდა თბილისის სპორტტექნიკური კლუბ „ოქტომბრის" წევრი შ. აჯოიანი, რომელმაც ისე, როგორც ა. ბელოუსოვმა („ელვა") ერთ რბოლაში იმარჯვა, ხოლო მეორეში II ადგილი დაიკავა, მაგრამ უპირატესობა მას მიეკუთვნა, ვინაიდან მეორე ცდაზე ფინიშთან იგი პირველი მივიდა. III ადგილი ერგო დ. რომანიუკს (სოხუმის „სამხრეთი").

ამავე კლასის მანქანებით ვაჟთა შეჯიბრება ორივე ცდაზე თბილისის არმიელმა ა. ფიოდოროვმა მოიგო. რუსთაველი ნ. ჩვანოვი ორივეჯერ მეორე იყო. III ადგილზე ა. სისაური („ოქტომბერი").

350 კბ სმ-ის მოცულობისძრავიანი მოტოციკლეტებით რბოლაში ბადალი არ ჰყავდა ა. კლდიაშვილს („ელვა"). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ რუსთაველი ე. ვაშურინი და თბილისის არმიელი ა. კულინი.

500-ანებით რბოლაში საპრიზო ადგილები ერგოთ ა. ნასონოვს (ასკ), სისაურსა და ჩვანოვს.

ეტლიანი მანქანებით რბოლა მოიგეს ცხაკაიელებმა მ. დუნდუამ და რ. ბარძელიშვილმა. მათ ოდნავ ჩამორჩნენ ვ. სოლომახა და ვ. შკანდინი (სამტრედია), ხოლო რ. შალიკიანი და გ. გავრილოვი („ოქტომბერი") მესამე ადგილს დასჯერდნენ.

თბილისის ეტაპში სპორტტექნიკურ კლუბებს შორის გუნდური ადგილები ასე განაწილდა: „ელვა", „ოქტომბერი", „სამხრეთი".

პირველ ჯგუფში იმარჯვა თბილისის ნაკრებმა, მეორეში — სამტრედიის გუნდმა, მესამე ჯგუფში უძლიერესი იყო ბოლნისელთა კოლექტივი.

სამი ეტაპის ჯამში ჯგუფების მიხედვით ადგილები ასე განაწილდა: თბილისი, აფხაზეთი, აჭარა, რუსთავი, სამტრედია, ცხაკაია, ბოლნისი, „ელვა", „სამხრეთი", ბათუმის ავტოსკოლა.

**რ. გაბრიჭიძე.**
(ჩვენი კორ.).

• • •

**სურათებზე:** 175 კბ სმ-ის მოცულობის მანქანებით მებრძოლი იუნიორების ლიდერთა ჯგუფი დისტანციაზე; ნახტომი; ეტლიანი მოტოციკლეტები ასპარეზობის დროს.

რ. გაბრიჭიძისა და რ. ანდრიაშვილის ფოტოები.







პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი, სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი ზრუნვასა და დახმარებას არ აკლებდნენ ტრესტ „ინჟმშენს“, რათა დროულად დაემთავრებინა მას ი. სტალინის სახელობის სანაპიროზე საწყლოსნო კომპლექსის მშენებლობა. მაგრამ თვით მშენებლების მიერ დათქმული ბაზის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა ამ სამიოდე კვირის წინ მიილია, აქ კი ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი სამუშაოებია შესასრულებელი.

პარტიის საქალაქო კომიტეტში ობიექტის ჩამორჩენის შესახებ მკაცრად იმსჯელეს. სწორედ მაშინ მშენებლებმა დადეს პირობა, რომ მუშაობაში არსებულ ხარვეზებს სასწრაფოდ გამოასწორებენ და ყველა უბანზე საქმიანობის გარდაქმნით თვენახევარში დამკვეთს — თბილისის საქალაქო საბჭოს კაპიტალურ მშენებლობათა სამმართველოს სპორტსმენებისთვის ყველაფერს გაწყობილს ჩააბარებენ.

მაგრამ გაითვალისწინეს, რომ გენერალურ მოიჯარეს — ტრესტ „ინჟმშენს“ ამის უნარი არ გააჩნდა, კიდევ ერთი თვე დაუმატეს ე. ი. 15 ივლისს აქ ყველაფერი მზად უნდა იყოს.

მეორე დღეს მოიჯარეცა და ქვემოიჯარენიც განსაკუთრებული ენთუზიაზმით საქმიანობდნენ, სამშენებლო პოლიგონის შესასვლელშიც სიახლე გაჩნდა — ჩამოკიდეს დაფა წარწერით: ამა და ამ ბაზის მშენებლობის დამთავრებამდე ამდენი და ამდენი დღე დარჩაო.

დაფაზე დარჩენილ დღეთა რიცხვი ყოველ დილით კლებულობს, ობიექტს, რა თქმა უნდა ყოველდღე რაღაც ახალი ემატება, მაგრამ ენთუზიაზმი, მონდომება, სამწუხაროდ, მშენებლებს დიდხანს როდი გაჰყვათ! ამ დასკვნამდე მიგვიყვანა შაბათს ნანახმა.

იმ დილით მშენებლობაზე ხელის წასახმარებლად მოვიდა საქართველოს სპორტკომიტეტის ორმოცამდე თანამშრომელი. ბაზის მომავალმა დირექტორმა ვ. გოიაშვილმა სტუმრებს ექსკურსიამძღოლობა გაუწია — ობიექტის ყველა კუთხე-კუნჭული შემოატარა, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ამ უნიკალური სპორტული ობიექტის აუზები, დარბაზები, კაბინეტები, აღდგენის ცენტრი, ტრიბუნები, პრესკორპუსი, ერთი სიტყვით, ყველაფერი დაათვალიერებინა. ერთად დავდიოდით, მშენებლები კი აქა-იქ ჩანდნენ.

ისეთ სამშენებლო ობიექტზე, რომელიც მთავრობის კონტროლის ქვეშაა და, რომელსაც საქართველოს მოცურავეები, წყალბურთელები, წყალში მხტომელები (შესაძლოა სხვა სახეობების სპორტსმენებიც), ათასობით მოზარდი ასე მოუთმენლად ელოდება, თერთმეტის ნახევარზე მუშაობა უნდა დუღდეს, აქ კი რა? ოციოდე კაცი თუ საქმიანობდა.

მართალია, ორდღიანი დასვენების პირობებში შაბათიც უქმეა, მაგრამ განა სწორედ ამ დღეს არ მოვიდნენ შაბათობაზე სპორტკომიტეტის თანამშრომლები, განა დედაქალაქის ათასობით მუშა და მოსამსახურე შაბათობაზე არ გავიდა სათიბად? აუზის მშენებლებისთვის კი შაბათობა არავის უთხოვია, აქაური მუშები, სპეციალისტები ამ დღესაც ისე იღებენ გასამრჯელოს (და უფრო მეტსაც) როგორც სხვა დღეებში.

საღამოს ხუთი საათისთვის იმ ოციოდე სპეციალისტიდანაც ნახევარიც აღარ იყო დარჩენილი, პრესკორპუსზე ერთი ოსტატიც ვეღარ ვნახეთ. არა და აქაც ჯერ კიდევ უამრავი რამ არის გასაკეთებელი, ხოლო რასაც გაკეთებულად თვლიან, მის მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფო კომისია, ცხადია, არ მიიღებს: კარ-ფანჯრის ჩარჩოები დაბრეცილია, საკეტების ნაწილი არ იკეტება, ნალესებში (ასასვლელებში) ბრმატურა ჩანს. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

პრესკორპუსი სიტყვამ მოიტანა, თორემ საქსპორტმშენის უბნის და სხვა ქვემოიჯარეთა ხელოსნებსაც თავიდან ბევრი რამე ექნებათ გასაკეთებელი. ამ საორხელო საქმეში გენერალური მოიჯარეც ტყუის, რომელმაც ქვემოიჯარეთ დროულად ვერ მისცა ნორმალური ფრონტი. ახლა გაჯით ნალესი ბევრგან ჩამოსაღები და ხელახლა შესალეს-შესასწორებელია. მარტო საქსპორტმშენის უბნის ოსტატებს ათობით კვადრატული მეტრი ფილა აქვთ შესაცვლელი, ზოგან კედლები ერთნაირი ფერის ფილებით როდია გაწყობილი.

— იცით, რაც დიდ აბაზანაში წყალი ჩაასხეს, მე სამუშაოდ ყოველდღე ხალისით მოვდივარ. შრომის მერე მუდამ 50 მეტრს ვცურავ, — გვითხრა ერთმა ახალგაზრდა მუშამ, რომელიც ის-ის იყო აუზიდან ამოვიდა.

ახლა აქ გამოცდას ორი აბაზანა გადის — 25-მეტრიანი საჭყუმპალო და ძირითადი 50-მეტრიანი. მაგრამ ვიდრე წყალში მხტომელებისთვის განკუთვნილ აბაზანას ეს ბედნიერება ექნება, ვინ იცის კიდევ რამდენი დღე გაივლის — კოშკურის აგება გრძელდება, მანამ კი აუზში წყლის შეშვება რეკომენდებულიც არ არის.

როგორც იყო ფინიშს მიუახლოვდა მარცხენა პანტუსის აგება, იზოლაციის სამუშაოები. სანტექმონტაჟს გრაფიკში გარღვევა არა აქვს, არც ვაჟრობის სამმართველოს მშენებლებს ემდურიან, უკვე აშენებულსა და დარჩენილ სამუშაოს ერთმანეთს თუ შევადარებთ, თითქოს ბევრი აღარაა გასაკეთებელი, მაგრამ ეს მცირეც ალბათ იმდენ დროს მოითხოვს, რომ არსებული ძალებით მათ გრაფიკის შესაბამისად ვერ გააკეთებენ. ეს რომ ასეა, გასული კვირის შრომის შედეგების შეჯამებამ დაადასტურა. თვით გენერალურ მოიჯარეს კვირის გეგმის სამი პუნქტი დარჩა შეუსრულებელი: მარცხენა პანტუსის და № 2 სპორტდარბაზის ბეტონის იატაკების მომზადება, აგრეთვე, პრესკორპუსის გადახურვის წინასაიზოლაციო სამუშაო.

კვირის გეგმების ნაწილი ზოგიერთმა ქვემოიჯარემაც ვერ შეასრულა. როგორც გაირკვა, „ინჟმშენმა“ ისინი ვერ უზრუნველყო მასალებით. მაგალითად, სპორტდარბაზში მლესავები სილის უქონლობის გამო მოცდნენ, ჯანმრთელობის სამმართველოს მშენებელ სპეციალისტებს ტუფის უქონლობის გამო კედლების მოპირკეთებაში შეეშალათ ხელი, ამავე მიზეზით პარკეტის დაგება არ დაუმთავრებიათ...

გეგმა კანონია, თუნდაც იგი ერთი კვირის გეგმა იყოს. ამ გეგმებს აქ გენერალური მოიჯარე და ქვემოიჯარე ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთად ადგენენ არსებულ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, მაშ რატომღა ვერ ასრულებენ?

რამდენიმე თვის უკან სამართლიანად დაისვა საკითხი მუშებისთვის გასახდელების მოწყობის შესახებ, მაშინ ღონისძიებაც დაისახა, მაგრამ მისი განხორციელებისთვის აღარავის უზრუნია, ამიტომაც ოთახები, სათავსოები გასახდელებად გადააქციეს, ისინი მთელი დღე დაკეტილია, რაც კეთილმოწყობას აფერხებს.

ალბათ მართალი იყო ტრესტ „ინჟმშენის“ მმართველი ი. კირკიტაძე, როცა მომარაგების მისამართით საყვედური გამოთქვა. 400 კვ მეტრი ტუფის ფილები მისაღები აქვთ, ის კი არ ჩანს, ასე გასინჯეთ, ტრესტს ბლოკებითაც ვერ უზრუნველყოფენ, რომ „ინჟმშენმა“ ფილები თვითონ დაამზადოს. ასეთი ფაქტები სხვაც საკმაოდაა.

მშენებლობის ოპერატიული შტაბის უკანასკნელ სხდომაზე ზოგიერთი ქვემოიჯარე ორგანიზაციის წარმომადგენელი საყვედურს გამოთქვამდა სამუშაო ნახაზების უქონლობაზე, არადა, ეს ნახაზები, როგორც კომპლექსის ავტორმა არქიტექტორმა შ. ყაველაშვილმა გვითხრა, „ინჟმშენის“ № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ამ უბნის სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის გ. ხუროშვილის ოთახში დასტებად აწყვია, მაგრამ მათი არსებობით არავინ დაინტერესებულა (?!).

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები გაისად მოსკოვში ივლისში უნდა გაიმართოს. მაშასადამე, იმ სტარტებამდე მხოლოდ 14 თვე რჩება. საქართველოს მოცურავეების, წყალში მხტომელების, წყალბურთელებისთვის ეს დრო ძალიან ცოტაა, ამიტომ ყველამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ სპორტულმა კომპლექსმა, რაც შეიძლება მალე გააღოს კარები.

ეს პირველი რიგის ამოცანაა.

ო. გელაშვილი.

## სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა

# ვადა — ახალი, ტემპი — ძველი

### ✦ სამტრედია

რაიონის სპორტკომიტეტის დარბაზში ჩატარდა მოსწავლეთა რესპუბლიკური პირადი პირველობა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის 12 ქალაქისა და რაიონის 200-ზე მეტი ფალავანი.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: გ. ბაბუნაშვილი (ვანი), ზ. ყიფშიძე (ბოლნისი), პ. კაჭახიძე, ი. ბახტაძე (ორივე — თბილისი), ზ. შუღლიაშვილი (გორი), ზ. შალამბერიძე, რ. იაშვილი, მ. ყლარჯეიშვილი, ე. რაზმაძე (ოთხივე — თბილისი), შ. ნარიკაევი (კასპი), ა. მაისურაძე (რუსთავი), მ. ქენჭაძე (ქუთაისი), პ. პაპიაშვილი (თბილისი).

„კლასიკოსთა“ შორის კი პირველი ადგილები დაიკავეს: რ. ტუღუშმა (მახარაძე), რ. გულმამედოვმა (თბილისი), გ. ლაბარტყავამ (ქუთაისი), გ. ცეცხლაძემ (ბათუმი), მ. ხაბელაშვილმა, გ. ნუცუბიძემ, ო. ივანიძემ, ზ. სანიკიძემ, ზ. მეგენეიშვილმა (ხუთივე — თბილისი), ნ. აბდულაევმა (რუსთავი), გ. თოგოევმა (თბილისი), კ. ხაფავამ (მახარაძე), მ. შენგელიამ (სამტრედია).

ი. ნიკოლეიშვილი.

### ✦ თელავი

აქ გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. სარბიელზე გამოვიდა 24 ქალაქისა და რაიონის 200-მდე ჭაბუკი ფალავანი.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ე. ბიწკინაშვილმა (გურჯაანი), ვ. კურდღელაშვილმა (საგარეჯო), კ. ბაინდურაშვილმა (დმანისი), კ. ტაბლიაშვილმა (გარდაბანი), მ. მეგრელიშვილმა (თბილისი), ე. სადირაშვილმა (მცხეთა), მ. მიქაძემ (თელავი), დ. ბერუაშვილმა (თბილისი).

გუნდურ ჩათვლაში I-III ადგილები შესაბამისად თბილისის (მწვრთნელი გ. ხაჩიძე), თელავისა (მწვრთნელი ს. კველიშვილი) და ახმეტის (მწვრთნელი ე. უძილაური) წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს. ეს კოლექტივები, აგრეთვე, საგარეჯოს, გორისა და სამხრეთ ოსეთის გუნდები სპარტაკიადის ფინალში იასპარეზებენ.

გ. ელიოზაშვილი.

## ემზადებიან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის

### ✦ ხელვაჩაური

ჩატარდა ხელვაჩაურის რაიონის მოსწავლეთა პირველობა ფეხბურთში, რომელშიც ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა კომკავშირის რაიკომთან ერთად მოაწყო და ლენინური კომკავშირის მესამოცე წლისთავს მიუძღვნა.

I ადგილი ხელვაჩაურის საშუალო სკოლის ფეხბურთელებმა მოიპოვეს. II ადგილზე კახაბრის საშუალო სკოლელები გავიდნენ. III ადგილს კი ერგელი სპორტსმენები დაეპატრონენ.

ნ. დევაძე.

### ✦ დუშეთი

რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლის დარბაზში ჩატარდა მოსწავლეთა XXX რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ამბროლაურის, მარნეულის, წალკის, ვანის, ხობისა და დუშეთის ნაკრები გუნდები.

I ადგილი ხობელმა ჩოგბურთელებმა დაისაკუთრეს, მომდევნო ადგილები ვანისა და დუშეთის კოლექტივებმა დაიკავეს.

ზ. სიანაიძე.

### ✦ ზუგდიდი

გაიმართა ზუგდიდის რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა მძლეოსნობაში. ყველას აჯობეს დარჩელის საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე არიან ურთისა და ცაიშის სკოლების გუნდები.

კ. ფიფია.

### ✦ ყვარელი

სპორტული სკოლის დარბაზში ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში.

კარგად იასპარეზა ახალსოფლის პირველი საშუალო სკოლის გუნდმა და გამარჯვებაც მას ერგო.

გ. ზაკალაშვილი.

### ✦ ხაშური

ჩატარდა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ნახევარფინალური შეხვედრები მაგიდის ჩოგბურთში. საასპარეზოდ გამოვიდნენ ცხინვალის, ფოთის, ჭიათურის, ტყიბულის, კასპის, ყვარელის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, სამტრედიის, საჩხერისა და ხაშურის გუნდები.

ცხინვალელმა ჩოგბურთელებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს, I ადგილი დაიკავეს და ფინალურ შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

ვ. დოხნაძე.

### ✦ ჭიათურა

ადგილობრივი სპორტული დარბაზი მასპინძლობდა მოსწავლეთა XXX რესპუბლიკური სპარტაკიადის ნახევარფინალურ შეჯიბრებას კალათბურთში.

ფინალური ტურნირის საგზურისთვის გოგონათა და ჭაბუკთა ხუთ-ხუთი გუნდი იბრძოდა.

გოგონათა შორის მასპინძლებმა გაიმარჯვეს, II იყო სამტრედიის კოლექტივი. ორივე გუნდი რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალში იასპარეზებს. ჭაბუკთა შორის ფინალის საგზურები ჭიათურელმა და ზესტაფონელმა კალათბურთელებმა მოიპოვეს.

ზ. ხარჯაძე.



## დრო დადგა...

მწვავე სიგნალი

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრებაზე, რომელიც რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხებს მიეძღვნა, სერიოზული საუბარი გაიმართა სპორტული ბაზებისა და ნაგებობების ქსელის გაფართოების აუცილებლობაზე. აქტივის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებისთვის სამწუხაროდ ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ **ორჯონიკიძის რაიონის** მესვეურები. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ რაიონის არც ერთ სოფელს დღემდე არ გააჩნია თუნდაც მარტივი ტიპის ფეხბურთის მოედანი, ის კი არა, თვით რაიონის ცენტრში ფეხბურთის სტადიონის მშენებლობასაც არ დაადგა საშველი. როგორც საერთოდ მთელს საქართველოში, რაიონის ახალგაზრდებს ფეხბურთი განსაკუთრებით გვიყვარს, ინტერესით ვადევნებთ თვალს ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე საფეხბურთო კოლექტივების გამოსვლებს, მაგრამ თავად მოკლებული ვართ მწვანე მინდორზე გამოსვლისა და სპორტული პაექრობის საძლებლობას. მართალია, ერთ დროს მშვენიერი სტადიონი გვქონდა და საფეხბურთო გუნდი გვყავდა, მაგრამ მავანი და მავანი ადამიანების „ინიციატივით“ ფიზიკური წრთობის ეს კერა ხელიდან გამოგვაცალეს და სტადიონის ტერიტორია სხვადასხვა დაწესებულებას გადასცეს. ეს მოხდა ათიოდე წლის უკან. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ სტადიონის მოწყობის საკითხზე ახალგაზრდობის სამართლიან მოთხოვნას ყურადღებას არავინ აქცევს.

ვფიქრობთ, დადგა დრო ამ მწვავე საკითხის მოგვარებაში შესაბამისი ორგანოები ჩაერიონ.

მურთაზ და სოსო აბაშიძეები.

• • •

**სურათზე:** აი, ასე გამოიყურება ორჯონიკიძის რაიონის ყოფილი სტადიონის ტერიტორია.

## „პერი თავზე ენგრევათ“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 5 მარტის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული მასალა, რომელშიც ლაპარაკი იყო ახალციხის საჭადრაკო კლუბის ავარიულ მდგომარეობაზე.

როგორც ახალციხის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე მ. იაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

საჭადრაკო კლუბის შენობის რემონტის საკეთებლად ახალციხის რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა 7 ათასი მანეთი გამოყო. შენობის რემონტი მალე დაიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ცის დამპყრობნი



**უფროსი** მწვრთნელის სპორტის ოსტატ პ. ფილიპოვის ხელმძღვანელობით საქართველოს პარაშუტისტები ამუშავებენ ხტომის ტექნიკას, გულმოდგინედ ემზადებიან შეჯიბრებებისთვის, რომლებითაც მდიდარი იქნება საზაფხულო სპორტული სეზონი.

ვარჯიშის დროს კარგ შედეგებს აჩვენებენ სპორტის ოსტატები ე. ლოგინოვა და ლ. კაცი, დ. უნაფქოშვილი, მ. ალთუნიანი, ნ. სიროვატკინი, მ. ცარკოვი, ე. ლეონოვა, ი. გრიშენკო.

აგვისტოში საქართველოს პარაშუტისტთა ნაკრები გუნდი მონაწილეობას მიიღებს დოსააფის პირველობაში, რომელიც კოხტლაიარვაში (ესტონეთი) გაიმართება.

* * *

**სურათებზე:** საქართველოს ნაკრები გუნდი საპარაშუტო სპორტში; წუთიც და შვეულმფრენი ჰაერში აიყვანს სპორტსმენებს; პარაშუტისტები ვარჯიშზე.

ვ. მორგუნოვის ფოტოები.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## სსრ კავშირის პირველობა

●

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

სტატისტიკის მოყვარულთათვის მოგვყავს ქუთაისის „ტორპედოს“ მიერ სიმფეროპოლში ჩატარებული გასვლითი მატჩის მონაცემები.

„ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:2 (0:0).

**„ტავრია“**: მედნიკოვი, ლუშჩენკო, ჟილინი, უმრიხინი, აჯემი, ავდიში, კატალიმოვი, სერებრიანსკი, პანჩიკი, ჩერემისინი, კარლოვი.

**„ტორპედო“**: მჭედლიძე, სვანაძე, სულაქველიძე, მელიქია, ფარულავა, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, ქვირია (თევზაძე), ფესტვენიძე, შელია, ხუცურაული.

მსაჯი ი. მულიოლისი (ვილნიუსი).

გოლები: ფარულავა (49-ე წუთი), სერებრიანსკი (68,84), ბურკაძე (90).

დუბლიორები — 5:0.

## II ლიგა, IV ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოტაიკი“ | 13 | 9 | 2 | 2 | 18—5 | 20 |
| „შირაკი“ | 13 | 8 | 4 | 1 | 24—12 | 20 |
| „ლოკომოტ“. | 13 | 7 | 2 | 4 | 21—18 | 16 |
| „დინამო“ ს. | 13 | 6 | 4 | 3 | 19—13 | 16 |
| „დინამო“ ზ. | 13 | 6 | 4 | 3 | 17—9 | 16 |
| „ზენიტი“ | 13 | 5 | 5 | 3 | 13—10 | 15 |
| „ყარაბახი“ | 13 | 6 | 2 | 5 | 14—10 | 14 |
| „დინამო“ ბ. | 13 | 6 | 2 | 5 | 14—12 | 14 |
| „გურია“ | 13 | 5 | 4 | 4 | 17—16 | 14 |
| „ზვეზდა“ | 13 | 5 | 4 | 4 | 16—10 | 14 |
| ფიზკ. ინსტ. | 13 | 4 | 6 | 3 | 13—12 | 14 |
| „დრუჟბა“ | 13 | 5 | 3 | 5 | 16—12 | 13 |
| „ურალეცი“ | 13 | 5 | 3 | 5 | 15—22 | 13 |
| „ტორპედო“ | 13 | 4 | 4 | 5 | 12—9 | 12 |
| „ტურბინა“ | 12 | 5 | 1 | 6 | 15—23 | 11 |
| „გასტელო“ | 12 | 5 | 1 | 6 | 14—16 | 11 |
| „გაზოვიკი“ | 12 | 4 | 3 | 5 | 14—15 | 11 |
| „რუბინი“ | 13 | 3 | 5 | 5 | 12—16 | 11 |
| „ავტომობ“. | 12 | 5 | 0 | 7 | 14—17 | 10 |
| „დინამო“ კრ. | 12 | 4 | 2 | 6 | 11—14 | 10 |
| „ხაზარი“ | 13 | 4 | 2 | 7 | 11—18 | 10 |
| „დილა“ | 13 | 2 | 6 | 5 | 10—14 | 10 |
| „პროგრესი“ | 12 | 3 | 1 | 8 | 12—20 | 7 |
| „არაზი“ | 13 | 1 | 2 | 10 | 11—30 | 4 |

## მშვილდოსნობა

### „გაზაფხულის ისრები“

**ტალინში** დამთავრდა მშვილდოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის ისრები“. როგორც სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. ბელოვმა განაცხადა, იგი შედეგებით კმაყოფილია. ზ. რუსტამოვამ დიდოსტატური მაჩვენებელი მოიპოვა, თანაც 2×70 მეტრზე ასპარეზობაში ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 613.

მწვრთნელმა აღნიშნა, აგრეთვე, ვ. კოვპანის, დიდ სპორტში დაბრუნებულ ქ. ლოსაბერიძის, ლ. შიკოტას, ე. გაპჩენკოს და 17 წლის მ. ოკუნის მაღალი მაჩვენებლები. ვაჟებიდან მან განსაკუთრებით გამოყო ა. აულოვი.

სსრ კავშირის ნაკრები ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც ინგლისი უმასპინძლებს. ნაკრების საბოლოო შემადგენლობა დადგინდება სსრ კავშირის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით.

ქალთა შორის „გაზაფხულის ისრების“ ტურნირი მოიგო ზ. რუსტამოვამ, რომელმაც საბოლოოდ 2526 ქულა მოაგროვა, ვაჟებში იმარჯვა ა. აულოვმა — 2544.

## მძლეოსნობა

**ხარკოვში** გამართულ უკრაინის მოზარდ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე თექვსმეტი წლის ი. სვისტუნოვმა სამხტომში 14 სანტიმეტრით გააუმჯობესა ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი. მისი შედეგია 15,60 მ.

**კვლავ** მაღალ შედეგებს აჩვენებს დასავლეთგერმანელი უროს მტყორცნელი კ.-ჰ. რიმი, რომელმაც შაბათს ჰანოვერში გამართულ ასპარეზობაზე 77,44 მ აჩვენა.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2-“ის მეოცე ტირაჟისა, რომელიც 17 მაისს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო“: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო; ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრის გამოცნობისთვის მოგება 4734 მანეთია, ხუთისთვის 3734, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 103, ოთხისთვის— 78, სამისთვის — 4.

„სპორტლოტო-2“: ექვსი ციფრი აქაც ვერავინ გამოიცნო; ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 2300 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 69, ოთხისთვის — 44, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 28 მაისიდან 28 ივნისის ჩათვლით.

## ფეხბურთი

## მსოფლიო თასი უხმობს რჩეულებს

●

მეოთხე ჯგუფი:
ჰოლანდია. ირანი.
პერუ. შოტლანდია

## «სტატისტები არ ვიქნებით»

ირანის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში პირველად მიიღებს მონაწილეობას.

ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია ჩამოყალიბდა 1922 წელს. ირანი, სადაც ფეხბურთი ინგლისელების გავლენით განვითარდა, ფიფა-ს წევრი 1948 წლიდან გახდა. ნაკრების დებიუტი გაიმართა 1950 წელს ანკარაში თურქების წინააღმდეგ მასპინძლებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 6:1. მომდევნო წლებში ირანელები უკვე ბევრს თამაშობდნენ. მათი შედეგებიც თანდათან გაუმჯობესდა. დიდი წარმატება იყო ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ფეხბურთელთა ტურნირის ფინალურ ნაწილში თამაშის უფლების მოპოვება. მართალია, თვით ტოკიოში ირანელებს ძალიან გაუჭირდათ. აქ მათ წააგეს გდრ-ის ოლიმპიურ ნაკრებთან 0:4, რუმინელებთან 0:1 და ფრედ (1:1) ითამაშეს მექსიკელებთან. ის კია, რომ ტოკიოში მიღებული გამოცდილება ირანელებს ძალიან გამოადგათ. 1968 წელს თეირანში მოეწყო აზიის თასის IV გათამაშების ფინალი. აქ მასპინძლებს უკვე სრული უპირატესობა ჰქონდათ: მათ სძლიეს ბირმის (3:1), ისრაელის (2:1), ტაივანისა (4:0) და ჰონკონგის (2:0) ნაკრებებს, რის შემდეგ საპატიო პრიზს დაეუფლნენ. 1972 წელს ირანელებმა კვლავ მოიპოვეს ოლიმპიური თამაშების ფინალურ ნაწილში გამოსვლის უფლება. მიუნხენში მათ კარგად დაიწყეს — ანგარიშით 1:0 სძლიეს ბრაზილიელებს, მაგრამ ორ მომდევნო მატჩში სასტიკი მარცხი იგემეს უნგრელებთან (0:5) და დანიელებთან (0:4). ამ წარუმატებლობის თავისებური „კომპენსაცია“ იყო ხელახალი გამარჯვება აზიის თასზე.

1976 წელს მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში ირანელები უკვე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ. მათ სძლიეს კუბელებს (1:0) და მხოლოდ მეტად მძაფრი ბრძოლის შემდეგ დამარცხდნენ პოლონელებთან (2:3), რომელთა შემადგენლობაში მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის ბევრი პრიზიორი გამოდიოდა. ამავე წელს ირანელებმა უკვე მესამედ მოიპოვეს აზიის თასი და დაამტკიცეს რომ კონტინენტზე უდავოდ ერთ-ერთი უძლიერესნი არიან.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში ირანელებმა პირველად 1974 წელს მიიღეს მონაწილეობა. უკანასკნელ მომენტამდე ისინი ფინალის საგზურისთვის იბრძოდნენ, მაგრამ მაშინ ბედმა ავსტრიელებს გაუღიმა. და აი, მეორე სტარტი მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში. აქ აზიის ზონისთვის მრავალსაფეხურიანი შეჯიბრება გაიმართა. ირანელებმა ითამაშეს 13 (!) მატჩი და დაფარეს... 60 ათასი კილომეტრი საუდის არაბეთის, სირიის, ჰონკონგის, სამხრეთ კორეის, ავსტრალიისა და კუვეიტის ნაკრებებთან შეხვედრებში. ამდენი ფრენა, შესაძლოა, სარეკორდოც არის მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევი თამაშების ისტორიაში.

ირანის ნაკრების შესამჩნევ მომძლავრებაში დიდი როლი ითამაშეს უცხოელმა მწვრთნელებმა, ჯერ შოტლანდიელმა მაკ ლენონმა, შემდეგ ირლანდიელმა ო' ფარელმა (ადრე „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ლესტერ სიტის“ რომ ედგა სათავეში). ირანის საკლუბო გუნდებთან მუშაობდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ნეტო, ცნობილი ინგლისელი მწვრთნელი სექსტონი, რუმინელი ლუჩესკუ და სხვები. თვით ირანელები სიამოვნებით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ მათ ნაკრებს ისტორიაში პირველად მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზური მოუტანა არა უცხოელმა, არამედ ადგილობრივმა სპეციალისტმა მოჰაჯერან ნესმეთმა. იგი სპეციალობით პოლიციის მოხელეა, 42 წლისაა, რამდენიმე წლის მანძილზე ნაკრების მწვრთნელ ო' ფარელის ასისტენტი იყო. შემდეგ სათავეში ჩაუდგა ირანის ჭაბუკთა ნაკრებს, ისმენდა ფიფას მწვრთნელ კრამერის (რომელიც ამასწინათ „ბაიერნს“ ედგა სათავეში) ლექციებს.

აი, რას ამბობს ნესმეთი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის წინ:

„ყველა ევროპელი ექსპერტი მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენ და ტუნისელებს უიმედო აუტსაიდერებად მიგვიჩნევს. მე ამ აზრს არ ვიზიარებ. რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონები ჩვენ ვერ გავხდებით, მაგრამ, გარწმუნებთ, არგენტინაში სტატისტების როლს არ შევასრულებთ.

...მართალია, ჩვენ სხვა აზიურ გუნდებთან შედარებით გვიან მოვხვდით ფინალში, მაგრამ არგენტინაში გაცილებით უკეთ ვითამაშებთ, ვიდრე, ვთქვათ, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა ითამაშა ინგლისში, ისრაელის ნაკრებმა — მექსიკაში, ანდა ავსტრალიელებმა — გფრ-ში. ჩემი დაკვირვებით, არგენტინელები და პოლონელები არცთუ ისე მრისხანე მეტოქეები არიან. მონრეალში პოლონელებთან დიდხანს წინ ვიყავით 1:0 და მხოლოდ მძაფრი ბრძოლის შემდეგ წავაგეთ. შარშან მადრიდში „რეალის“ საიუბილეო ტურნირში შევხვდით არგენტინის ნაკრებს და მატჩი ფრედ 1:1 დავამთავრეთ“.

მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე, რომლებიც კარგ სკოლას გადიან თეირანის ტრადიციულ საგაზაფხულო ტურნირებში (ჭაბუკთა შეჯიბრება 20 წლამდე). ამ შეჯიბრებაში, რომელიც მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდა, სისტემატურად თამაშობენ საბჭოთა ჭაბუკებიც. ფინალური მატჩი თეირანის უდიდეს „არიამერის“ სტადიონზე იმართება, რომელიც 100 ათას მაყურებელს იტევს.



აი, რა განაცხადა ირანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კამბიზ ათაბაიმ:

— ჩვენი ფეხბურთი კარგად არის ორგანიზებული. ჭაბუკთა შორის აზიაში უკვე 4 წელია არა გვყავს ბადალი. ჩვენს პირველ ლიგაში 16 გუნდი თამაშობს, მეორეში — 12, მესამეში — 24. გარდა ყოველწლიური ჩემპიონატისა, ფეხბურთელები თამაშობენ ირანისა და ფედერაციის თასებზეც. რა თქმა უნდა, ჩვენ ბევრი ნაკლიც გვაქვს, მაგრამ მათ გამოსწორებაზე ვზრუნავთ.

შესარჩევ თამაშებში ირანელებმა 29 ფეხბურთელი გამოიყვანეს. მათი ნაწილი მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა.

ირანის უძლიერეს მეკარედ ითვლება 29 წლის ნეჯაზი, რომელმაც ნაკრებში 55 მატჩი ითამაშა. იგი მაღალი, კარგი რეაქციის მქონე მეკარეა. მის მთავარ ნაკლად ითვლება სუსტი თამაში კარიდან გამოსვლისას. სხვა მეკარეებია რაშიდი (23 მატჩი ნაკრებში,) მავადათი (14 მატჩი) და ფარიად-შირანი (ნაკრებში ჯერ არ უთამაშია.) როგორც მიმომხილველებს მიაჩნიათ, არგენტინაში ნეჯაზი ითამაშებს, რომელიც გამოცდილებითაც და კლასითაც დანარჩენებს აღემატება. ეს მეკარე იუგოსლაველ მწვრთნელ რაიკოვის აღმოჩენა გახლავთ და ირანში დიდად პოპულარულია.

დაცვაში გამოდიან ნაზარი, ესკანდრიანი, კაზერანი, აბდალაჰი, ნაიბ-ალა. მათ შორის უძლიერესად ითვლება 27 წლის ესკანდრიანი, რომელსაც მწვრთნელის „მარჯვენა ხელს“ უწოდებენ. ესკანდრიანმა, რომელიც მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა, ნაკრებში უკვე 30 მატჩი ჩაატარა.

გუნდის სული და გული 32 წლის ნახევარმცველი პარვინი, რომელიც ასევე მონაწილეობდა მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში. მან ნაკრებში 83 მატჩი ჩაატარა, დიდი დიაპაზონის ფეხბურთელია, ერთდროულად დირიჟორიც და სნაიპერიც. პარვინი ნაკრების კაპიტანია. როგორც პრაღის ჟურნალ „გოლის“ კორესპონდენტი მიიჩნევს, მას თამამად შეუძლია ითამაშოს ევროპის პირველხარისხოვან კლუბებშიც კი. უკანასკნელი სამი სეზონის მანძილზე დიდი ყურადღება მიიპყრო კიდევ ერთმა ნახევარმცველმა, 22 წლის გასემ-პურმა. მან თავი გამოიჩინა აზიის 1976 წლის თამაშებში, სადაც ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. გასემ-პური თანამედროვე სტილის ნახევარმცველია. ამჟამად ძნელი სათქმელია, ვინ იქნება მესამე ნახევარმცველი პარვინისა და გასემ-პურის გვერდით. მწვრთნელმა განაცხადში შეიტანა სადეჰი. ჰავიპანი, დანიე-ფარდი, აზიზი, ხანი, ბარზეგარა, ფარიბა, იუსეფი. უმეტესობა ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან, ნაკრებში ცოტა აქვთ ნათამაშევი.

თუ ირანელთა დაცვა და შუახაზი ცუდად არ გამოიყურება, სამაგიეროდ თავდასხმის თამაშს უდავო დეფექტები აქვს. ყოფილ მწვრთნელ ო' ფარელის აზრით, ირანელების თავდასხმას ბევრი რამ აკლია, იგი დუნედ და უეფექტოდ თამაშობს. ამ ხაზზე ეჭვს არ იწვევს მხოლოდ 23 წლის როუჰანის კანდიდატურა. თეირანში კუვეიტისა და ავსტრალიის ნაკრებებთან შეხვედრებში (მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი), რომლებიც ირანელებმა ერთნაირი ანგარიშით (1:0) მოიგეს, გოლები სწორედ როუჰანმა გაიტანა. მას 35 მატჩი აქვს ჩატარებული ნაკრებში. სხვა თავდამსხმელებია—ჰორსიდი, ადელჰანი, ალიდუსტი, ფარაკი, ფადაკარი, მასლუმი (54 მატჩი ნაკრებში), დიაჰანი.

მარტისა და აპრილის განმავლობაში ირანელებმა თეირანში არაერთი მატჩი გამართეს ევროპულ ნაკრებებთან. მათთან სტუმრად იმყოფებოდნენ იუგოსლავიის, უელსის, ბულგარეთის პირველი და მეორე ნაკრებები.

გ. თორელი.

## ველოსპორტი

**მშვიდობის** 31-ე ველორბოლის IX და X ეტაპებზე ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა, რაც საერთო ფინიშის მოახლოებითაა განპირობებული.

მეცხრე ეტაპი — გრადეც-კრალოვე — ელენია-გურა (149 კმ) რბოლის ლიდერმა, კუიბიშეველმა ა. ავერინმა მოიგო — 3:53.28. მომდევნო ადგილები ხვდათ ჰ. კოხსა (გდრ) — 3:53.33 და მ. კლასს (ჩეხოსლოვაკია) — 3:53.38. ეტაპზე გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრებმა ხუთი წამით აჯობა გდრ-ის ველოსიპედისტებს, რომლის შედეგია 11 საათი, 40 წუთი და 59 წამი. თავის მხრივ ჩეხოსლოვაკიის გუნდმა, რომელმაც ეტაპზე მესამე ადგილი დაიკავა, გერმანელებთან ასევე 5 წამი წააგო.

მეათე ეტაპის მონაწილენი ელენია-გურას ირგვლივ 146 კილომეტრიან ტრასაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. რბოლა მოიგო იტალიის ქალაქ ბერგამოს მკვიდრმა, 24 წლის ელექტრიკოსმა ჯ. კასატიმ — 4:08.57. ამ შეჯიბრებაში კასატიმ ასეთ წარმატებას პირველად მიაღწია, მაგრამ გამარჯვება იოლად როდი მოსვლია. ეს გახლდათ სპორტსმენის სწორი ტაქტიკის შედეგი. კასატი საშუალედო ფინიშების მოგებისთვის არ იბრძოდა, ძალებს გადამწყვეტი სპურტისთვის ინახავდა და მომენტის ზუსტად შერჩევით დაწინაურდა. კლასი მას 23 წამით ჩამორჩა. ფინიშთან მესამე მივიდა ა. პიკუუსი (სსრ კავშირი) — 4:09.25.

ათი ეტაპის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა უცვლელია. პირად ჩათვლაში წინ არის ა. ავერინი, ხოლო გუნდურში — საბჭოთა კავშირის ნაკრები.

**ტალინის** მიდამოებში გრძელდება ველოსიპედისტთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება გზატკეცილზე რბოლაში, რომელშიც წარმატებით გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები. მათ მოიგეს 100 კილომეტრზე გუნდური რბოლა, ხოლო შემდეგ ჯგუფურ რბოლაში ორჯერ იხსნეს თავი, როცა ჯერ 184 კილომეტრი პირველებმა დაამთავრეს, მერე კი 181,2 კილომეტრზე იმარჯვეს. აქ პირადში უძლიერესი გახლდათ ვ. მანინი (ყაზახეთი), რომლის შედეგია 4:15.11.

კრიტერიუმი ტალინის ქუჩებში გაიმართა. მონაწილეებს 36 წრე უნდა შემოევლოთ. მათ 70,9 კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი. სამივე საპრიზო ადგილი ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრებმა ვ. სუხორუჩენკოვმა (106 ქულა), ვ. შაპოვალოვმა (74) და ვ. ჩაპლიგინმა (50) დაიკავეს.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვათა სპორტსმენები.

## ივანე მალიუტინი



არიან ადამიანები, რომლებსაც არ უყვართ საკუთარ თავზე ლაპარაკი და სჯა-ბაასი. მათზე სათქმელს თვით საქმენი ლაპარაკობენ. თავმდაბლობა, უპრეტენზიობა თან სდევთ მათ მთელი ცხოვრების მანძილზე და სხვებისთვის სამაგალითოს ხდის. სწორედ ამგვარ ჩუმ, დინჯ, მუდამ ფუტკარივით მოფუსფუსე ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა ივანე ბენედიქტეს ძე მალიუტინი.

ორლოვის ოლქის დოლჟანსკის რაიონის ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებული ი. მალიუტინი არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1936 წელს ორლოვის მანქანათმშენებელ ტექნიკუმში შევიდა, რომელიც 1938 წელს დაამთავრა. 1940 წელს კომკავშირული გაწვევით საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. ომის მეორე წელს ი. მალიუტინი მოქმედ არმიაში აღმოჩნდა, სადაც 1945 წლამდე იმყოფებოდა ჯერ რიგით ჯარისკაცად, შემდეგ კი სატანკო ათეულის მეთაურად. ომის დამთავრების შემდეგ იგი სხვადასხვა სამხედრო სამუშაოზე იყო გერმანიაში, ყაზანში, თბილისში...

საქართველოს სპორტკომიტეტში სამუშაოდ ი. მალიუტინი 1973 წელს მოვიდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ იგი გულგრილად მოჰკიდებოდეს საქმეს, დროზე და ხარისხიანად არ შეესრულებინოს დავალება.

...არიან ადამიანები, რომლებსაც საკუთარ თავზე არ უყვართ ლაპარაკი. მათზე პირველ ყოვლისა მათი საქმენი ლაღადებენ. ასეთი იყო ი. მალიუტინი, რომლის ხსოვნა დიდხანს დარჩება მის ნაცნობ-მეგობართა შორის.

**საქართველოს სპორტკომიტეტი.**

## ფეხბურთი

### პელე: ფინალში — ბრაზილია და გფრ

**მსოფლიოს** სპორტული სამყარო ახლა, თამამად შეიძლება ითქვას, ფეხბურთით ცხოვრობს. არგენტინაში ხომ სულ ერთ კვირაში დაიწყება წლის უდიდესი ასპარეზობა — მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში. პროგნოზები, პროგნოზები, პროგნოზები... აქ ვერც „შავმა მარგალიტმა" — სახელგანთქმულმა პელემ შეიკავა თავი.

პელეს აზრით ფინალურ ოთხეულში გავლენ ბრაზილიის, გფრ-ის, არგენტინისა და იტალიის გუნდები, ხოლო გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ჩემპიონის სახელისათვის ერთმანეთს შეხვდებიან ბრაზილია და გფრ. რაც შეეხება არგენტინელებს, პელეს მიაჩნია, რომ მასპინძლებთან ყველას ერთნაირად გაუჭირდება თამაში.

ჟურნალისტთა და სპეციალისტთა თხოვნით პელემ დაასახელა ის გუნდები, რომლებიც მისი აზრით მეოთხედფინალში გავლენ:

**I ჯგუფი:** იტალია, არგენტინა ან უნგრეთი.

**II ჯგუფი:** გფრ, პოლონეთი.

**III ჯგუფი:** ბრაზილია, ესპანეთი ან შვეცია.

**IV ჯგუფი:** ჰოლანდია, შოტლანდია.

### მოითხოვენ გადამჭრელ ზომებს

მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ხუთიდან 3 წაგებული საწვრთნელი მატჩის შემდეგ პერუში დიდი აჟიოტაჟია. აეროპორტში პერუს ნაკრებს ათასობით გულშემატკივარი დახვდა, რომლებიც სასწრაფოდ მოითხოვდნენ მწვრთნელის გადადგომას და გადამჭრელი ზომების მიღებას: „არ გვინდა არგენტინაში სირცხვილი ვჭამოთ!"

### მეტი მუშაობა მართებთ...

„ლოკომოტივის" საცურაო აუზში დამთავრდა თბილისის ჭაბუკ წყალბურთელთა (1963-64 წლებში დაბადებულნი) პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა „ბურევესტნიკის", განათლების განყოფილების I და II ნაკრები გუნდები, ხოლო „დინამომ" სამი გუნდი გამოიყვანა.

პირველობისთვის ბრძოლა ძირითადად განათლების განყოფილების გუნდებს შორის მიმდინარეობდა. საბოლოოდ ყველას აჯობა განათლების განყოფილების II გუნდმა, რომელმაც დაუმარცხებლად განვლო ტურნირი. II ადგილზე გავიდა განათლების განყოფილების I, ხოლო III-ზე „დინამოს" III გუნდი. ასპარეზობის შემდეგ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ბ. მეგედმა გვითხრა:

— ჭაბუკთა ამ ასაკობრივ ჯგუფში პირველად ჩავატარეთ საქალაქო შეჯიბრება, რომელიც საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა. მინდა აღვნიშნო გუნდების დამაკმაყოფილებელი ფიზიკური და საცურაო მომზადება, მაგრამ მათი ტექნიკური და ტაქტიკური არსენალი ძალზე ღარიბია და ამ მხრივ მეტი მუშაობა მართებთ მწვრთნელებს.

**გ. თათეიშვილი.**

## წყალბურთი

### დიდი სტარტის წინ

**ბათუმში** ხუთ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს ჭაბუკ (1958-59 წლებში დაბადებულნი) წყალბურთელთა პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისისა და აჭარის გუნდები. ასპარეზობაში უკონკურსოდ გამოდიოდნენ საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების კოლექტივები, რამაც უფრო საინტერესო გახადა შეჯიბრება.

კარგად აიღო სტარტი თბილისის ნაკრებმა, რომელიც მთლიანად „დინამოს" წყალბურთელებით (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ჯ. წიკლაური) იყო დაკომპლექტებული. მათ 4:3 მოუგეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, შემდეგ დიდი ანგარიშით — 11:4 და 10:2 შესაბამისად დაამარცხეს ქუთაისისა და აჭარის წყალბურთელები. თბილისის ნაკრებმა ბოლოს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებს სძლია — 9:3 და დამსახურებულად მოიპოვა I ადგილი. II ადგილისთვის ბრძოლაში ქუთაისისა და აჭარის წყალბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვეს ქუთაისელმა სპორტსმენებმა — 4:2. აჭარის ნაკრები III ადგილით დაკმაყოფილდა.

შეჯიბრების შემდეგ საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა წყალბურთში, სპორტის ოსტატმა მ. ქართველიშვილმა გვითხრა:

— 24 მაისს დუშანბეში სტარტს აიღებს საბჭოთა კავშირის ჭაბუკ წყალბურთელთა (1958-59 წლებში დაბადებულნი) პირველობა. ბათუმში გამართული შეჯიბრება სწორედ საკავშირო ჩემპიონატის მზადების ნიშნით ჩატარდა. გულისტკივილით არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აფხაზეთმა გუნდი არ მოავლინა სასპარეზოდ. არა და მათ წინათ წყალბურთის კარგი ტრადიცია ჰქონდათ და საქართველოს ნაკრებში მრავალი სპორტსმენი გამოდიოდა აფხაზეთიდან. ახლა კი, როგორც ჩანს, აქ საერთოდ მიივიწყეს სპორტის ეს სახეობა. ვერაფრით გაგვახარეს აჭარის წარმომადგენლებმაც — მათ თუმცა III ადგილი დაიკავეს, მაგრამ გუნდი გაცილებით სუსტად თამაშობს, ვიდრე, ვთქვათ, გამარჯვებული კოლექტივი.

**ო. მურვანიძე,**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# ოქროს მედალი ოლიმპიადის გზაზე

**ბუქარესტი.** „ოსლოში გამართულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატში გამარჯვება, მოსკოვის ოლიმპიადა-80-ისთვის მზადების პირველი ეტაპი იყო" — აჟერპრესის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა კონტინენტის ახალმა ჩემპიონმა, მძიმეწონოსანმა რუმინელმა ათლეტმა რომან კოდრიანუმ.

მიუხედავად იმისა, რომ 25 წლის რუმინელი გოლიათის (სიმაღლე 194 სმ, წონა — 140 კგ) წარმატება ბევრმა სენსაციად მიიჩნია, არაჩვეულებრივი მის გამარჯვებაში არაფერი მომხდარა.

ქალაქ არადის „ვაგონულის" ქარხნის მექანიკოსი ნელა, მაგრამ მონდომებით მიდიოდა ტრიუმფისკენ. იგი 1970 წელს იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტი იყო და II ადგილი დაიკავა. უფროსების შეჯიბრებაში პირველად 1975 წლის მინსკის მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ამას მოჰყვა 1976 წელს მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული III ადგილი.

კოდრიანუს „აღმომჩენი" მწვრთნელი თ. ბლიდარუ ასე ახასიათებს მას: „რომანს არა მარტო საოცრად ძლიერი ხელები აქვს, არამედ ძალიან ტექნიკურიცაა"...

თავად კოდრიანუ წარმატებებს არ გაუთამამებია: „მოსკოვში კარგად ასპარეზობისთვის ბევრი უნდა ვივარჯიშო, რათა თავიდანვე დავეუფლო ინიციატივას ორთაბრძოლებში ისეთ გოლიათებთან, როგორიც არიან საბჭოთა ათლეტი კოლჩინსკი (ოსლოში არ უასპარეზია) და ბულგარელი ტომოვი". (საკდესი).

**რედაქტორი ა. ბასილაია.**



შესვენება.

თ. ქიქავას ფოტო.

### სპორტულ ბაზებზე

**ხელბურთი. 24 მაისი.**

კიროვის სახელობის პარკის სპორტული მოედანი.

**საერთაშორისო შეხვედრა:**

**„ბურევესტნიკი" (თბილისი) — პროფკავშირთა ნაკრები (უნგრეთი).**

დასაწყისი 18 საათზე.

### 24-დან 28 მაისამდე

**თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში** (კონსტიტუციის ქ. № 6) 16-დან 19 საათამდე ჩატარდება კალათბურთის ყველა კატეგორიის მსაჯთა რეგისტრაცია. ის მსაჯები, რომლებიც არ გაივლიან რეგისტრაციას, ამოღებული იქნებიან მსაჯთა კოლეგიის სიიდან და არ დაიშვებიან შეჯიბრებებზე სამსაჯოდ.

**თბილისის კალათბურთის ფედერაცია.**

### ცხადდება კონკურსი

**როგორც** ცნობილია, თბილისში ი. სტალინის სახელობის მარჯვენა სანაპიროზე უახლოეს ხანში მწყობრში ჩადგება საცურაო აუზების უნიკალური კომპლექსი. ეს ბაზა გახდება სპორტსმენების სამჭედლო და ჩვენი დედაქალაქის მცხოვრებთა გაჯანსაღების კერა.

მშენებარე კომპლექსის დირექცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია აცხადებენ კონკურსს კომპლექსის სახელსა და ემბლემაზე.

გამარჯვებულის გამოსავლენად შექმნილია ჟიური კომპლექსის პროექტის ავტორის არქიტექტორ შ. ყავლაშვილის თავმჯდომარეობით.

წინადადებები აუზის სახელის შესახებ და ემბლემის პროექტები უნდა გაიგზავნოს გაზეთ „ლელოს" რედაქციაში ა. წ. 1 ივლისამდე აღნიშვნით „კონკურსი", მისამართით: თბილისი — 380096, ლენინის ქ. 14.

კონკურსში გამარჯვებულისათვის დაწესებულია პრიზი — ერთწლიანი უფასო საშვი აუზით სარგებლობისთვის.

ცნობებისთვის დარეკეთ ტელეფონით 93-97-55.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; პადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10038